ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23
2017 წლის 30 ნოემბერი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/06/2017; ს/კოდი: 010250050.35.140.016258) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.**

დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.“.

3. დადგენილების დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო.“.

4. **დადგენილების დანართი ცხრილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		**მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირები**	4	
		მერი	1	2650
		მერის პირველი მოადგილე	1	2000
		მერის მოადგილე	2	1600

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის